

მეორე სექცია

რიუამაძე საქართველოს წინააღმდეგ

(განაცხადი № 2745/03)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

2007 წლის 31 ივლისი

კონვენციის 44 მუხლის 2 პუნქტის შესაბამისად  
აღნიშნული გადაწყვეტილება საბოლოოა.  
იგი ექვემდებარება რედაქციულ შესწორებებს

საქმეში რიუამაძე საქართველოს წინააღმდეგ

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მეორე დანაყოფმა კოლეგიის შემდეგი შემდგენლობით:

ქ-ნი ფ. ტულკენსი, თავმჯდომარე

ბ-ნი ა.ბ. ბაკა

ბ-ნი ი.კაბრალ ბარეტო

ბ-ნი რ. ტურმენი

ბ-ნი მ. უგრესელიძე

ბ-ნი ვ.ხაგრებელსკი

ბ-ნი დ. პოდოვიჩი

და ქ-ნი ფ.ელენს-პასოსი, დანაყოფის მედიუნის მოადგილე

იმსჯელა საქმეზე 2007 წლის 10 ივლისს კერძო განხილვით და ამავე დღეს გამოიტანა შემდეგი გადაწყვეტილება:

პროცედურა:

1. საქმე გაიხსნა განაცხადის საფუძველზე (№ 2745/03) საქართველოს წინააღმდეგ. განაცხადი შემოტანილია სასამართლოში ადამიანის უფლებათა დაცვისა და ძირითადი თავისუფლებების კონვენციის (შემდგომში „კონვენცია“) 34-ე მუხლის საფუძველზე ბატონ ავთანდილ რიუამაძის,

ეროვნებით ქართველის, მიერ, 2002 წლის 10 მაისს. მას წარმოადგენდა ქ-ნი ნ.ქაშიბაძე.

2. საქართველოს მთავრობას (შემდგომში „მთავრობა“) წარმოადგენდა აგენტი, ქალბატონი ი.ბართაია (იუსტიციის სამინისტრო).

3. 2005 წლის 14 ოქტომბერს სასამართლომ გადაწყვიტა, ეცნობებინა საქართველოს მთავრობისათვის იმ სარჩელის თაობაზე, რომელიც ეხებოდა ზეპირი განხილვის არარსებობას საკასაციო სასამართლოს დონეზე. კონვენციის 29.3 მუხლის თანახმად მიღებულია გადაწყვეტილება განაცხადის არსებითი განხილვის თაობაზე და ამავე დროს, მის მისაღებობაზე.

4. მთავრობამ, წარმოადგინა საკუთარი არგუმენტები და მოსაზრებები სარჩელის მისაღებობისა და არსებითად განხილვის თაობაზე (სასამართლოს წესები, წესი 54ა). განმცხადებელს არ წარმოუდგენია საპასუხო მოსაზრება. თუმცა, 2006 წლის 15 ივნისს განმცხადებელმა განმეორებით დაადასტურა პროცესის გამართვის სურვილი.

5. 2006 წლის 29 ივნისს სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება განაცხადის განხილვის თაობაზე არსებული მასალების საფუძველზე.

## ფაქტები

### I. საქმის გარემოებები

6. განმცხადებელი დაიბადა 1970 წელს და ცხოვრობს ქალაქ თბილისში.

7. განმცხადებელი მუშაობდა ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის რეგიონალურ სამსახურში მებაჟეთ (შემდგომში „საბაჟო დეპარტამენტის ძველი სამსახური“). 1995 წლის 30 ივნისს ჩატარებული სტრუქტურული რეორგანიზაციის შედეგად 1995 წლის 5 აგვისტოს იგი, სხვა თანამშრომლებთან ერთად, გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. გათავისუფლების თაობაზე ბრძანებაში აღინიშნა, რომ გათავისუფლებული თანამშრომლები უნდა გადაეყვანათ სხვა, ახლად შექმნილ რეგიონალურ სამსახურში (შემდგომში „ახალი სამსახური“).

8. 1995 წლის 5 აგვისტოს განმცხადებელმა მიმართა საბაჟო დეპარტამენტს თხოვნით ახალ სამსახურში მოვალეობების შესრულების დაწყების თაობაზე. ამ თხოვნაზე პასუხი არ მიუღია. მომდევნო 6 წლის განმავლობაში მან მრავალჯერ მიმართა სხვადასხვა სამთავრობო უწყებას საჩივრით მუშაობის გაგრძელების შეუძლებლობის გამო.

9. 2001 წლის 21 მარტით დათარიღებული წერილით დეპარტამენტი ამცნობს განმცხადებელს, რომ 1995 წლის 30 ივნისს ჩატარებული რეორგანიზაციის შედეგად მოხდა კადრების მნიშვნელოვანი შემცირება და, ვინაიდან იგი დიდი ხნის განმავლობაში უნებართვოდ აცდენდა სამსახურს ძველ საბაჟო სამსახურში, ადმინისტრაციამ მიიღო გადაწყვეტილება მისი საბოლოო გათავისუფლების თაობაზე. მსგავსი გადაწყვეტილება კანონიერია, როგორც

აღინიშნა წერილში, და ეფუძნება შრომის კოდექსის დებულებებს, ერთადერთ საკანონმდებლო აქტს, რომელიც იმ დროისთვის არეგულირებდა საჯარო მოხელეთა დაევებს. განმცხადებელი მიიწვიეს კადრების განყოფილებაში გათავისუფლების თაობაზე ბრძანების ასლისა და საბუთების მისაღებად.

10. 2001 წლის 23 მაისს განმცხადებელმა შეიტანა სარჩელი სასამართლოში დეპარტამენტის წინააღმდეგ და ითხოვდა სამსახურში აღდგენასა და კომპენსაციას ხელფასის დაკარგვის გამო.

11. 2001 წლის 22 ნოემბერს ისანი-სამგორის რაიონის პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება განმცხადებლის სასარგებლოდ. თუმცა, 2002 წლის 15 აპრილით დათარიღებული გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულია სააპელაციო დონეზე თბილისის საოლქო სასამართლოს მიერ, უარს აცხადებს მის განცხადებაზე ხანდაზმულობის გამო. ტავდაპირველად, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ვინაიდან განმცხადებლის სამსახურიდან დათხოვნის დროისათვის 1997 წლის 31 ოქტომბრის სამოქალაქო კოდექსი ძალაში შესული არ იყო, დავის მოსაგვარებლად გამოყენებული იქნა მხოლოდ შრომის კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნები. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ განმცხადებელმა არაერთგზის წარადგინა საჩივარი სხვადასხვა სახელმწიფო ინსტანციაში მუშაობის დაწყების შეუძლებლობის თაობაზე, გარდა სასამართლოებისა, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებლისთვის კარგად იყო ცნობილი მისი უფლების დარღვევის შესახებ, ვინაიდან იგი გათავისუფლდა 1995 წელს. მსგავსი გარემოებების გათვალისწინებით, მან (სასამართლომ) დაასკვნა, რომ განმცხადებელმა არ დაიცვა შრომის კოდექსის 204 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნა, რომელიც ითვალისწინებს საჩივრის შემოტანას 1 თვის ვადაში.

12. 2002 წლის მაისში განმცხადებელმა შეიტანა საკასაციო სარჩელი, რომლითაც ითხოვდა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების (საქმის გარემოებებისა და ზოგი მტკიცებულების შეფასებას) ეჭვქვეშ დაყენებას. საქმის მასალები ცხადყოფს, რომ მოპასუხე დეპარტამენტს არ წარუდგენია არანაირი პასუხი აღნიშნულ სარჩელზე.

13. 2002 წლის 12 ივნისს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ (შემდგომში „პალატა“) ზეპირი განხილვით (რომელსაც ესწრებოდა განმცხადებელი) დაიწყო საქმის განხილვა, მაგრამ დეპარტამენტის წარმომადგენლის გამოუცხადებლობის გამო გადადო იგი. პალატამ გადაწყვიტა, შემდგომში უარი ეთქვა ამ საქმის ზეპირ განხილვაზე.

14. 2002 წლის 13 ივნისს განმცხადებელი, რომელიც უკმაყოფილო იყო ზეპირ მოსმენაზე უარით, მიმართა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს თხოვნით პალატის შემადგენლობის შეცვლის თაობაზე. 2002 წლის 18

ივნისს მიღებული გადაწყვეტილებით, განმცხადებელს ეთქვა უარი უსაფუძვლობის (საფუძვლის არარსებობის) გამო.

15. 2002 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილებაში, რომელიც მიღებულ იქნა წერილობითი პროცესის (პროცედურის) საფუძველზე, პალატამ უარი განაცხადა განმცხადებლის საკასაციო სარჩელზე. მან დაადასტურა სააპელაციო სასამართლოს შრომის კოდექსის განმარტება და განაცხადა, რომ არ გააჩნია იურისდიქცია ფაქტის დეტალების გამოძიებისათვის, ვინაიდან განმცხადებელს არ წამოუყენებია „დამატებითი და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია“ (სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 407, პარაგრაფი 2).

## II. შესაბამისი ეროვნული სამართალი და პრაქტიკა

### 16. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებები იმ დროისათვის

კანონის მუხლი 393, პარაგრაფების 1 და 2 შესაბამისად, საკასაციო დონეზე შესაძლებელია მხოლოდ სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების გასაჩივრება. სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება იქნას ცნობილი უკანონოდ, თუ მან არასწორად გამოიყენა ან განმარტა სამართლებრივი ნორმები.

მუხლი 396.1.ვ ითხოვს, რომ განმცხადებელმა საკასაციო სარჩელში მიუთითოს საპროცესო კანონმდებლობის დარღვევის ყველა ფაქტი, თუ საჩივარი შეეხება არამარტო მატერიალურ, არამედ საპროცესო ნორმებსაც.

#### მუხლი 404, პარაგრაფი 1

„საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა“.

#### მუხლი 407 პარაგრაფები 1 და 2

1. საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტების მიმართ, რომელიც ასახულია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში ან საქმის მასალებში; მხედველობაში შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ 396-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები.

2. სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დამატებითი და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია.

#### მუხლი 408 პარაგრაფი 3

თუ საკასაციო სასამართლოს საქმის განხილვა არ მიაჩნია საჭიროდ, მას შეუძლია გადაწყვეტილება გამოიტანოს საქმის ზეპირი განხილვის გარეშე. მხარეებს უნდა ეცნობოთ ამგვარი გადაწყვეტილების მიღების შესახებ.

#### მუხლი 411

საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ საქმის გარემოებები სააპელაციო სასამართლოს მიერ საპროცესო ნორმების დარღვევის გარეშეა დადგენილი და საჭირო არ არის მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

#### მუხლი 412 პარაგრაფები 1 და 2

1. თუ 411-ე მუხლის შესაბამისად საკასაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია, იგი აუქმებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას და საქმეს სააპელაციო სასამართლოს უბრუნებს განმეორებით განსახილველად და გადასაწყვეტად.

2. თუ სასამართლომ თავის გადაწყვეტილებას საფუძვლად დაუდო სამართლებრივი შეფასება, რის გამოც საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას, მაშინ ის თავის განჩინებაში უთითებს, თუ რომელი ფაქტები საჭიროებს გამოკვლევას, რა მტკიცებულებებია შესაკრები და რა სხვა კონკრეტული საპროცესო მოქმედება უნდა შეასრულოს სააპელაციო სასამართლომ. საქმე ხელმეორედ განხილვისათვის შეიძლება დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს იმავე ან სხვა კოლეგიას.

17. საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 3 ივლისის განჩინება საქმეზე რიჟამაძე და მუმლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

საკონსტიტუციო სასამართლომ უარი განაცხადა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე; სარჩელი შეეხებოდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408.3 მუხლს, რომელიც უზრუნველყოფს ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვის უფლებას.

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოსაგან განსხვავებით, რომელიც ადგენს ფაქტებს, საკასაციო სასამართლოს გააჩნია მხოლოდ სამართლებრივი ნორმების გამოყენების საკითხის განხილვის უფლება. თუმცა, მუხლები 396.1.ვ და 411. 1 და 2 პუნქტების შესაბამისად მას შეუძლია შეისწავლოს ფაქტები, რომლებიც მითითებულია განმცხადებლის მიერ საპროცესო კანონმდებლობის დარღვევასთან მიმართებაში.

შესაბამისად, ვინაიდან განხილვა შემოიფარგლებოდა საპროცესო და მატერიალური სამართლებრივი ნორმების გამოყენების შეფასებით, საკონსტიტუციო სასამართლომ დაასკვნა, რომ ზეპირი განხილვის ჩატარება საკასაციო სასამართლოს დონეზე არ იყო სავალდებულო.

#### 18. უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა

2006 წლის 28 თებერვლით დათარიღებული განჩინებით საქმეზე „გოხი“ სააქციო საზოგადოება „თელასის“ წინააღმდეგ, უზენაესმა სასამართლომ განმარტა ცნება „დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია“ (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მუხლი 407.2):

„... დამატებითი და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია“ ნიშნავს იმ პროცესუალურ დარღვევებს, რომლებიც დაშვებულია სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც შედეგად ფაქტების

მცდარი შეფასება და/ან არასწორი განმარტება და მატერიალური სამართლებრივი ნორმების გამოყენება გამოიწვია“.

19. შრომითი ურთიერთობის მარეგულირებელი კანონმდებლობა იმ დროისათვის

ა. 1973 წლის 27 ივნისის შრომის კოდექსი

შრომის კოდექსი არეგულირებდა კერძო შრომითი ურთიერთობის ყველა სახეობას დამქირავებელს, დაქირავებულსა და პროფესიულ კავშირებს შორის. მუხლის 1.2 თანახმად, საჯარო სამსახურის შესახებ კანონის არარსებობის გამო, შრომის კოდექსის დებულებები ვრცელდებოდა და გამოიყენებოდა საჯარო სამსახურის მიმართაც.

შრომის კოდექსის 203.1 თანახმად, გათავისუფლებულ მუშაკს უფლება აქვს მიამართოს სასამართლოს სარჩელით სამსახურში (თანამდებობაზე) აღდგენის შესახებ. იგივე კოდექსის, 204.1 მუხლის შესაბამისად, მსგავსი სარჩელის შეტანის ვადა იწურება გათავისუფლების თაობაზე ბრძანების მიღებიდან 1 თვეში.

ბ) კანონი საჯარო სამსახურის შესახებ

კანონი საჯარო სამსახურის შესახებ მიღებულია 1997 წლის 31 ოქტომბერს და იგი გახდა ლეხ სპეციალის საჯარო მოხელეებისა და სახელმწიფოს ურთიერთობის მიმართ, შრომითი დავების ჩათვლით. კანონს არ გააჩნდა უკუ ძალა.

სამართალი (კანონმდებლობა)

1. კონვენციის 6.1 მუხლის დარღვევა

20. განმცხადებელმა წარადგინა სარჩელი მასზედ, რომ უზენაესმა სასამართლომ უარი განაცხადა სააკაციო სარჩელის ზეპირ განხილვზე. იგი ეჭვქვეშ აყენებს ეროვნული (შიდა) პროცედურების შედეგებს და აცხადებს, რომ ქვეყნის სასამართლოებმა არასწორად შეაფასეს კონკრეტული მტკიცებულება და საქმის გარემოებები. განმცხადებელმა მიუთითა კონვენციის 6.1 მუხლზე, რომლის შესაბამის ნაწილში ნათქვამია შემდეგი:

„... სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების განსაზღვრისას..., ყველას აქვს სამართლიანი და საჯარო განხილვის უფლება...“

ა. დასაშვებობა

1. რაც შეეხება სარჩელს პროცესის შედეგების თაობაზე

21. პროცესის შედეგების ეჭვქვეშ დაყენებით, განმცხადებელი მიმართავს სასამართლოს თხოვნით, შეასრულოს „მეოთხე ინსტანციის“ სააპელაციო სასამართლოს როლი. მიუხედავად ამისა, სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეროვნული სასამართლოები წარმოადგენს მტკიცებულების სათანადოობის შეფასებისა და მატერიალური და საპროცესო სამართლებრივი ნორმების განმარტებისა და გამოყენების საუკეთესო ინსტანციას (ადგილს) (იხ. საქმეები ვიდალი ბელგიის წინააღმდეგ, გადაწყვეტილება გამოტანილია 1992 წლის 22 აპრილს, სერია ა № 235-ბ, გვერდები 32-33, პარაგრაფი 32; გურეპკა უკრაინის წინააღმდეგ, № 61496/00, პარაგრაფი 45, 2005 წლის 6 სექტემბერი). ვინაიდან ადგილობრივად მიღებული გადაწყვეტილებები არ შეიცავს ნებისმიერი სახის თვითნებურ დასაბუთებას (ა ცონტრარო, დონადე საქართველოს წინააღმდეგ, № 74644/01, პარაგრაფი 32, 2006 წლის 7 მარტი), სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებლის სარჩელის ეს ნაწილი კონვენციის 6.1 მუხლი შესაბამისად არის აშკარად არასწორად ჩამოყალიბებული და კონვენციის 35.3 და 4 პუნქტების თანახმად უნდა იქნას უარყოფილი.

## 2. რაც შეეხება ზეპირ განხილვას

### ა. მხარეთა არგუმენტები

22. მთავრობამ განცხადა, რომ განმცხადებელი, როგორც საბაჟოს თანამშრომელი, იკავებდა თანამდებობას, რომელიც გულისხმობდა სახელმწიფოს სუვერენული ყფლების გამოყენებაში მონაწილეობას, რაც უზრუნველყოფილია საჯარო სამართლით. შემდგომში აღინიშნებოდა, რომ აღნიშნული საკითხი შეეხება შრომით დავას განმცხადებელსა და სახელმწიფო უწყებას შორის, რომლის თანამშრომელიც იგი იყო, მთავრობას მიაჩნდა, რომ კონვენციის 6.1 მუხლი არ ვრცელდებოდა აღნიშნულ დავაზე (პელეგრინი საფრანგეთის წინააღმდეგ (ჩ), № 28541/95, პარაგრაფები 64-67, ჩ დ 1999-VIII).

23. განმცხადებელმა არ უპასუხა აღნიშნულ პროტესტს (განცხადებას) (იხ. პარაგრაფები 4 და 5)

### ბ) სასამართლოს შეფასება

24. სასამართლო დასაწყისშივე აღნიშნავს, რომ უზენაეს სასამართლოში მიმდინარე განხილვა (განმცხადებლის მიერ ხანდაზმულობის პერიოდის დაცვის გათვალისწინებით) არ წარმოადგენს დავას განმცხადებლის „სამოქალაქო“ უფლებების“ თაობაზე. მიუხედავად ამისა, სასამართლო განხილვის შედეგი გახდა გადამწყვეტი განმცხადებლის სარჩელში მოყვანილი შრომით უფლებებთან დაკავშირებული ფაქტებისა და შესაბამისი კომპენსაციის მოთხოვნის შესწავლისათვის (სხვათა შორის იხილეთ ზანდერი შვედეთის წინააღმდეგ, 1993 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილება, სერია ა, № 279-ბ, გვერდი 38, პარაგრაფი 22; მორეირა დე აზეველო

პორტუგალიის წინააღმდეგ, 1990 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილება, სერია ა, № 189, გვერდი 17, პარაგრაფი 66).

25. რაც შეეხება მთავრობის პროტესტს სარჩელის არასათანადოობას იმ მიზეზით, რომ განმცხადებელი სახელმწიფო მოხელე იყო, სასამართლო აცხადებს, რომ მისმა დიდმა პალატამ ცოტა ხნის წინ შეიტანა შესწორება მის „ფუნქციურ კრიტერიუმში“, რომელსაც იგი ეყრდნობოდა ზემოხსენებული პელეგრინის საქმეზე გადაწვეტილების გამოტანაბმდე (იხილეთ, ვილჰო ესკელინენი და სხვები ფინეთის წინააღმდეგ, № 63235/00, პარაგრაფები 55-56, 2007 წლის 19 აპრილი). შესაბამისად, ამჟამად მიჩნეულია, რომ კონვენციის მუხლი 6.1 ვრცელდება საჯარო მოხელეების შრომით დავებზეც. თვით ფაქტი, რომ განმცხადებელი, მისი საჯარო სამსახურის წყალობით, მონაწილეობს სახელმწიფოს სუვერენული ძალაუფლების გამოყენებაში, ვეღარ ჩაითვლება გადამწყვეტ არგუმენტად (იხილეთ იქვე, პარაგრაფი 62).

26. პელეგრინის საქმის „ფუნქციური კრიტერიუმის“ ნაცვლად, მიღებულია და მოქმედებს ორ-საფეხურიანი ტესტი. ამგვარად, იმისათვის, რომ რესპონდენტ სახელმწიფოს მიეცეს საშუალება, ისარგებლოს კონვენციის 6.1 მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისით, რაც, როგორც წესი, ვრცელდება ყველა საჯარო მოხელეზე, რესპონდენტმა სახელმწიფომ უნდა მოახდინოს იმის დემონსტრირება, რომ აკრძალვა (შეზღუდვა) სასამართლოს ხელმისაწვდომობაზე კონკრეტულ თანამდებობასთან დაკავშირებით, გაწერილია ეროვნულ კანონმდებლობაში. კანონიერების მოთხოვნის შესრულებისთანავე, რესპონდენტმა მთავრობამ უნდა მოახდინოს იმის დემონსტრირება, რომ არსებობს ობიექტური სახელმწიფო ინტერესი, რომელიც დამოუკიდებელია სახელმწიფოსა და მოხელეს შორის „განსაკუთრებული ნდობისა და ერთგულების ვალდებულებისაგან“, რაც ამართლებს სასამართლოსადმი მიმართვის უფლების შეზღუდვას (იხილეთ ზემოხსენებული ვილჰო ესკელინენი და სხვები ფინეთის წინააღმდეგ, პარაგრაფები 61 და 62).

27. არსებულ საქმეში, (ა ცომმონ გროუნდ ბეტწვენ ტჰე პარტიეს, ტჰატ ) მხარეთა შორის მსგავსება გამოიხატება იმაში, რომ განმცხადებლისთვის შიდა სასამართლო ხელმისაწვდომი იყო. ადგილობრივი კანონმდებლობით მას არ ეკრძალებოდა სახელმწიფოს წინააღმდეგ სარჩელის შეტანა სამსახურში (თანამდებობაზე) აღდგენის მოთხოვნით, და, მეტიც, ადგილობრივმა სასამართლომ განსაკუთრებით სცნო, რომ იმ დროისათვის, იგი იყენებდა შრომით კანონმდებლობას, რომელიც არეგულირებდა კერძო სამართლის დასაქმებასთან დაკავშირებულ დავებს, ხოლო განმცხადებელი კომპენსაციას ითხოვდა (იხილეთ ზემოთ პარაგრაფები 11, 15 და 19). სხვაგვარად რომ ითქვას, განმცხადებელი, როგორც საჯარო მოხელე ცნობილი იქნა სახელმწიფოს მიერ როგორც სხვა ჩვეულებრივი კერძო სამართლის მოხელე.



28. ამგვარ გარემოებებში, კონვენციის მექანიზმებით გათავლისწინებული დამატებითობის (სუბსიდიარიტე) პრინციპის დაცვით, სასამართლოს არ შეუძლია დაიკაოს კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს ადგილი და ივარაუდოს, რომ სახელმწიფოს გააჩნდა იმუნიტეტი სამოქალაქო პასუხისმგებლობაზე განმცხადებლის წინაშე მის სარჩელთან დაკავშირებით არასამართლიანი გათავისუფლებისა და ანაზღაურების დაკარგვის თაობაზე (იხილეთ ზემოხსენებული ვილჰო ესკელინენი და სხვები ფინეთის წინააღმდეგ, პარაგრაფები 61 და 62). შესაბამისად, მთავრობის მიერ წარმოდგენილი პროტესტი (მოსაზრება, დასკვნა) უარყოფილია.

29. ამგვარად, სასამართლოს მიაჩნია, რომ კონვენციის მუხლი 6.1 ვრცელდება ამ კონკრეტულ დავაზე. არანაირი სხვა საფუძველი განაცხადის მიღების უარყოფისთვის არ გამოვლინდა. ამდენად, აღნიშნული განაცხადი სასამართლოს მისაღებად მიაჩნია.

## ბ. სარჩელის შინაარსი

### 1. მხარეთა არგუმენტები

30. მთავრობის არგუმენტი მდგომარეობს იმაში, რომ საქართველოს კანონმდებლობით, უზენაესი სასამართლოს ძირითადი როლი საკასაციო სასამართლოს როლის შესრულებაში მდგომარეობს და რომ იგი განიხილავს სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კანონირებას. საკასაციო სასამართლო არაუფლებამოსილი იყო, შეესწავლა საქმის ფაქტები, გარდა იმ ფაქტებისა, რომლებიც მითითებულია საკასაციო სარჩელში და აღწერს საპროცესო კანონის დარღვევებს. იმ შემთხვევაში, თუ უზენაესი სასამართლო მიიჩნევდა, რომ სააპელაციო სასამართლომ ფაქტობრივი გარემოებები საპროცესო კანონის დარღვევით დაადგინა, მაშინ, აუცილებელი იქნებოდა მტკიცებულების დამატებითი შესწავლა, რაც საქმის ხელახალ განხილვას გამოიწვევდა.

31. მთავრობის თანახმად, ამას საფუძვლად უდევს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408.3 მუხლის მოთხოვნები. ამგვარად, ვინაიდან უზენაესი სასამართლოს არ შეეძლო საქმის გარემოებების სირღმისეულად შესწავლა და შეეძლო მხოლოდ, შეეფასებინა უკვე დადგენილი ფაქტები სამართლებრივი თვალსაზრისით, მხარეთა მონაწილეობა ზეპირ განხილვაში არ არის ყოველთვის საჭირო. აღნიშნული წესი გამართლებულია, მთავრობის აზრით, ისეთი კანონიერი მოსაზრებებით, როგორცაა განხილვის უფლება გონივრულ ვადებში და ეკონომია.

32. რაც შეეხება აღნიშნულ საქმეს, მთავრობის თანახმად, უზენაესი სასამართლო უფლებამოსილია მხოლოდ შეაფასოს სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერება. მას არ გააჩნია საქმის ფაქტობრივი გარემოებების გადამოწმების უფლება, ისე როგორც ამას განმცხადებელი საკასაციო სარჩელში ითხოვს. საკასაციო

სასამართლოს არ შეუძლია პროცესუალურ დარღვევებთან დაკავშირებული ფაქტების შეფასებაც კი, ვინაიდან მსგავსი საკასაციო პრეტენზია არ იყო წამოყენებული განმცხადებლის მიერ. მთავრობის აზრით, სამართლის (კანონის? – ლაწ ისსუეს) საკითხების შესწავლა შესაძლებელი იყო განმცხადებლის წერილობითი მოსაზრებებისა (დაკვირვებისა) და საქმის მასალების მიხედვით. მეტიც, განმცხადებელს წინასწარ აცნობეს ზეპირი განხილვის გარეშე საქმის განხილვის თაობაზე.

33. ზემოხსენებულის საფუძველზე, მთავრობა აცხადებს, რომ უზენაესი სასამართლოს მიერ საქმის ზეპირ განხილვაზე უარის თქმა არ წარმოადგენს სამართლიანი სასამართლოს (განხილვის) გარანტიის (უფლების) დარღვევას.

34. განმცხადებელმა უპასუხოდ დატოვა მთავრობის მიერ წარმოდგენილი არგუმენტები (აქვე, იხილეთ პარაგრაფები 4 და 5).

## 2. სასამართლოს შეფასება

35. სასამართლოს მიაჩნია, რომ საჯარო განხილვის უფლება, რომელიც გარანტირებულია კონვენციის 6.1 მუხლით, გულისხმობს ზეპირი განხილვის უფლებას. მიუხედავად ამისა, კონვენციის 6.1 მუხლის მიხედვით ზეპირი განხილვის ვალდებულება არ წარმოადგენს უდავო მოთხოვნას. ამგვარად, მსგავსი განხილვის არარსებობა შესაძლოა, შეესაბამებოდეს კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნას, როდესაც გადასაწყვეტი საკითხი არ იწვევს ეჭვს იმ ფაქტთან თუ სამართალთან დაკავშირებით, რომლის ადეკვატურად გადაჭრა შეუძლებელია საქმის და მხარეთა დაკვირვებების (დასკვნების) საფუძველზე (იხილეთ მუტატის მუტანდის, ფრედინი შვედეთის წინააღმდეგ, (№ 2), 1994 წლის 23 თებერვალს გამოტანილი გადაწყვეტილება, სერია ა, № 283-ა, გვერდები 10-11, პარაგრაფები 21-22; ფიშერი ავსტრიის წინააღმდეგ, 1995 წლის 26 აპრილს მიღებული გადაწყვეტილება, სერია ა, № 312, გვერდები 20-21, პარაგრაფი 44).

36. აგრეთვე, სასამართლოს მიაჩნია, რომ პირველი და ერთადერთი ინსტანციის სასამართლოს განხილვის დროს, ჩვეულებრივ არსებობს ზეპირი განხილვის უფლება (იხილეთ, ჰაკანსონი და სტურესონი შვედეთის წინააღმდეგ, 1990 წლის 31 თებერვალს მიღებული გადაწყვეტილება, სერია ა, № 171-ა, გვერდი 20, პარაგრაფი 64). თუმცა, ზეპირი განხილვის არარსებობა მეორე და მესამე ინსტანციაზე შეიძლება, განპირობებული იყოს საქმის განხილვასთან დაკავშირებული კონკრეტული თავისებურებებით, იმ შემთხვევაში თუ ზეპირ განხილვას პირველი ინსტანციის სასამართლოში ჰქონდა ადგილი (იხილეთ, მაგალითად, ჰელმერსი შვედეთის წინააღმდეგ, 1991 წლის 29 ოქტომბერს გამოტანილი გადაწყვეტილება, სერია ა, № 212-ა, გვერდი 16, პარაგრაფი 36).

37. რაც შეეხება საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკასაციო ფუნქციას, სასამართლო მიიჩნევს, რომ მისი როლი მდგომარეობდა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერების შეფასებაში. ეს გამომდინარეობს მთავრობის მიერ წარმოდგენილი არგუმენტებიდან, რომელსაც განმცხახედელი არ შეედავა და რომელიც უზრუნველყოფილია ეროვნული კანონმდებლითა და პრაქტიკით, რაც გულისხმობს, რომ საკასაციო სასამართლო არ იყო ის კომპეტენტური ორგანო, რომელსაც შეეძლო ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა, და შეეძლო მხოლოდ მატერიალური და პროცესუალური კანონმდებლობით გათვალისწინებული დებულებების განმარტებისა და გამოყენების შეფასება. მიუხედავად ამისა, განმცხადებელს ჰქონდა უფლება, გაესაჩივრებინა დადგენილი ფაქტები „დამატებითი და არგუმენტირებული საკასაციო პრეტენზიის აღძვრის საფუძველზე“, მასზედ რომ ასეთი ფაქტები უფრო დაბალი დონის ინსტანციების მიერ დადგენილია პროცესუალური ნორმების დარღვევით (იხილეთ აქვე, პარაგრაფები 16-18 და 30-32).

38. სასამართლო არნიშნავს, რომ საკასაციო სარჩელში აღნიშნული განმცხადებელი ითხოვდა საქმის გარემოებების განხილვას. მიუხედავად ამისა, მან არ დააკონკრეტა სააპელაციო სასამართლოს მიერ მისი მდგომარეობის შეფასების პროცედურული ნაკლოვანებები (იხილეთ აქვე, პარაგრაფი 12). ასეთ ვითარებაში სასამართლოს მიაჩნია, რომ უზენაესმა სასამართლომ, რომელსაც არ გააჩნია საემარისი კომპეტენცია, შეისწავლოს, რამდენად დასაბუთებული იყო შეცდილებული გადაწყვეტილება, ან მიიღოს ახალი მტკიცებულება, კანონიერად განაცხადა უარი საქმის გარემოებების შესწავლაზე (განხილვაზე) და ნაცვლად, დაადასტურა სააპელაციო სასამართლოს მიერ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407 მუხლის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივი დასაბუთების მხოლოდ გადამოწმებით (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მუხლი 404.1) საკასაციო სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება ხანდაზმულობის ვადისა და გაანგარიშების ხერხის მისაღებობის თაობაზე შრიმის კოდექსის 204.1 მუხლის საფუძველზე.

39. ვინაიდან ხანდაზმულობის ვადის საკითხი უკვე იყო მსჯელობის საგანი ზეპირი განხილვის დროს სააპელაციო სასამართლოში, განმცხადებლის უფლება კიდევ ერთ განხილვაზე იმავე საკითხზე, შესაძლებელია, ნაკლებად მნიშვნელოვნად იქნას მიჩნეული. შესაბამისად, საკასაციო პროცესის ბუნებიდან გამომდინარე, ეს უფლება, შესაძლებელია უარყოფილი იყოს სხვა, უფრო მნიშვნელოვანი კანონიერი მოსაზრებების გამო (იხილეთ, ეკბატანი შვედეთის წინააღმდეგ, 1988 წლის 26 მაისის გადაწყვეტილება, სერია ა, № 134, გვერდი 14, პარაგრაფი 31; ზემოსხენებული ჰელმერსის საქმე, პარაგრაფი 36). ამ შემთხვევაში, სასამართლო იღებს მთავრობის მითითებას სათანადოობისა და ეკონომიის თაობაზე.

40. სასამართლოს მიაჩნია, რომ აღნიშნული სარჩელის გათვალისწინებით, უზენაეს სასამართლოს გააჩნდა უფრო დაბალი ინსტანციების მიერ გამოსაყენებელი სამართლის განმარტებისა, მხარეთა მიერ წარდგენილი არგუმენტების, და საქმის სახვა მასალების სათანადოდ განხილვის უნარი. სამართლებრივი არგუმენტები (მტკიცებულებანი), ისევე როგორც ტექნიკური ფაქტობრივი საკითხები, შესაძლებელია საკმაოდ ეფექტურად იქნას წარმოდგენილი წერილობითი ფორმით (მაგალითად, იხილეთ პურსიჰეიმო ფინეთის წინააღმდეგ (დეც.), № 57795/00, 2003 წლის 25 მოემბერი, ; დერი შვედეთის წინააღმდეგ, № 28394/95, პარაგრაფი 37, 2002 წლის 12 ნოემბერი; სატერი შვეიცარიის წინააღმდეგ, გადაწყვეტილება მიღებულია 1984 წლის 22 თებერვალს, სერია ა, № 74, პარაგრაფი 30; კოროპლანი-ჯენი გამბურგი და ჰაშიჩი ავსტრიის წინააღმდეგ, № 10523/02, პარაგრაფი 63, 2006 წლის 27 ივლისი; სალომონსონი შვედეთის წინააღმდეგ, № 38978/97, პარაგრაფი 39, 2002 წლის 12 ნოემბერი; გიოჩი თურქეთის წინააღმდეგ ( ჩ), № 36590/97, პარაგრაფი 51, ჩლ 2002-V).

41. მეტიც, სასამართლო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იმ ფაქტს, რომ არსებულ საქმეში ზეპირი განხილვის არარსებობა არ განსაზღვრავდა განმცხადებლის უფლებას (ადვერსარიულ) შეჯიბრებითობის პრინციპზე დაფუძნებულ სასამართლო განხილვაზე, რაზეც განმცხადებელმა არ გააკეთა შეცდომები.

42. ხელთ არსებული მასალების გათვალისწინებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ დეპარტამენტმა არ წარმოადგინა პასუხი განმცხადებლის საკასაციო სარჩელზე. ამდენად, უკანასკნელს, არ შეუძლია, განაცხადოს, რომ ზეპირი განხილვის არარსებობის გამო საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე მას არ მიეცემოდა მეორე მხარის მიერ წარმოდგენილი არგუმენტების გაცნობის საშუალება. (იხილეთ, ა ცონტრარიო, ლობო მაქადო პროტუგალიის წინააღმდეგ, 1996 წლის 26 თებერვალს გამოტანილი გადაწყვეტილება, გადაწყვეტილებებისა და განჩინებების ანგარიშები, 1996-1, პარაგრაფი 31; ვერმელენი ბელგიის წინააღმდეგ, 1996 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება, ანგარიშები 1996-1, პარაგრაფი 33; ფრეტე საფრანგეთის წინააღმდეგ, № 36515/97, პარაგრაფი 47, ჩლ 2002-I).

42. დაბოლოს, სასამართლო მნიშვნელობას ანიჭებს იმ ფაქტს, რომ განმცხადებელს ეცნობა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ ზეპირი განხილვის გადადების თაობაზე, და მას გადაეცა სათანადო შეტყობინება საქმის განხილვის დაწყებამდე. (იხილეთ აქვე, პარაგრაფი 13).

43. ჯამში, საქმეში არაფერი არ მიუთითებს იმაზე, რომ უზენაესი სასამართლოს მიერ ზეპირი განხილვის სანაცვლოდ შემოთავაზებული წერილობითი პროცედურა არ იყო გამჭვირვალე ან შეიცავდა სხვა თვისებებს, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებდნენ მის სამართლიანობას.

44. ზემოთ ხსენებულის გათვალისწინებით, სასამართლო ასკენის, რომ ზეპირი განხილვის არარსებობა საკასაციო სასამართლოს დონეზე არ შეადგენს კონვენციის 6.1 მუხლის დარღვევას.

II. კონვენციის სხვა დარღვევები

45. სარჩელში განმცხადებელი აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-10 მუხლის თანახმად, ზეპირი განხილვის უარყოფით უზენაესმა სასამართლომ შეზღუდა მისი თვითგამოხატვის უფლება. აგრეთვე, იგი მიუთითებდა კონვენციის მე-13 მუხლზე და აცხადებდა, რომ ადგილობრივი სასამართლო პროცესები არ წარმოადგენდა „ეფექტურ საშუალებას“.

46. მიუხედავად ამისა, სასამართლო ადგენს, რომ ზემოხსენებულის გათვალისწინებით (იხილეთ პარაგრაფები 44-45), საქმის დაწვრილებით შესწავლის შემდეგ კონვენციის 6.1 მუხლის შესაბამისად, აღნიშნული სარჩელი არ საჭიროებს ცალკე განხილვას.

ჩამოთვლილი მიზეზების გამო, სასამართლო ერთ ხმად

1. აცხადებს საკასაციო სასამართლოში ზეპირი განხილვის არარსებობის შესახებ სარჩელს დასაშვებად, ხოლო მის დანარჩენ ნაწილს - არადასაშვებად.

2. აცხადებს, რომ არ ჰქონდა ადგილი კონვენციის 6.1 მუხლის დარღვევის ფაქტს.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და ინფორმირებულია 2007 წლის 31 ივლისს სასამართლოს 77.2 და 3 წესების შესაბამისად.

ფ.ელენს-პასოსი  
მდივნის მოადგილე

ფ.ტულკენსი  
თავმჯდომარე